



ვალი I ოქტომბრისთვის ავიდა 54 კვადრატული მარკამდე. ოქროს სესხა მისცა მხოლოდ 164 მილ. მარკა ოქროთი, ისიც 130 მილ. მარკა ქალაქის მარკებით.

ბავარიის პრემიერმა კნინინგმა შტრეზემანს სთხოვა დააკადოს ბავარიის გადასახადების შეტანა. ინგლისის პრესა შეტად დაინტერესებულია გერმანიის შინაური მდგომარეობით. ინგლისის გაზეთები უწყალოდ არიან ბალდვინის უკანასკნელი სიტყვისა და გერმანიის კატასტროფის პასუხისმგებლობის აკისრებენ ხაფინგუსს. კატასტროფა მათი პარტი, გამოიწვევს ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას.

„პტი პარიზის“ ბერლინიდან აცხობენ, რომ გერმანიაში შესაძლებელია დირექტორის დაარსება, რომელშიც ალბად იქნებიან: ცანცლერი და გარეშე საქმეთა მინისტრად—შტრეზემანი, ვაჭრობისა, მრეწველობისა და ფინანსთა მინისტრად—ლოუ ბაუერი, სახელმწიფო და შინაგან საქმეთა—გესლერი და სასურსათო—ფონ-ოპოკი.

შტრეზემანის ცდა შეედგინა უპარტიოთაგან კაბინეტი ჯერ ვერ მოხერხდა, სტინესის წარმომადგენლებმა—მიხუმ უარი უთხრა სამინისტროში შესვლაზე, თავის კანდიდატურას, ალბად, სტინესის კაბინეტისათვის თუ ინახავს. პარლამენტის წევრები სკეპტიკურად უყურებენ შტრეზემანის ცდას.

ახალი კაბინეტის წევრებდ ასახელებენ: გესლერს (დემოკრატი), ბრაუნს (ცენტრის პარტია), ოპოკს (უპარტიო ნაციონალისტის ელემენტით) ლიუტერს (ცენტრის) და ფუსსს (სახალხო პარტია).

გერმანიის ნაციონალისტები არ დაეხმარებიან არც ერთ მთავრობას, რომლის სათავეშიც იდგება შტრეზემანი, ამის გამო შტრეზემანი ვერ მოიპოვებს რეისტრაციის წევრთა ორ მესამედს, რომელიც საჭიროა მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ კანონის გამოსაცემად.

რეისტრაციის კულურებში ამბობენ, რომ შტრეზემანმა თუნდაც შეადგინოს წმინდა ბურჟუაზიული კაბინეტი, მაინც დიდი ხნის ბოლო არ ექნება მას.

ირწმუნებიან, რომ სტინესმა შეადგინა თავისი სია კაბინეტისა. გაზეთები არკვევენ ებერტის პოზიციას იმ შემთხვევაში, თუ შტრეზემანი მთლად გადადგა. ებერტობი, რომ ებერტი მთელი გერმანიის მასშტაბით გაიმეორებს კარას მსგავს კომბინაციას, რათა აიცილოს თავიდან სტინესის კაბინეტი.

ხმებია, რომ შტრეზემანის ახალი კაბინეტი წარმოადგენს 4—5 ბურჟუაზიულ პარტიების წევრთაგან შემდგარ დირექტორიის როგორც ხმები თავის, დირექტორიის სათავეში იდგება პრეზიდენტ ებერტისა და კაბინეტის 2 წევრისაგან შემდგარი ტრიუმვირატი. რეისტრაცია დაიშლება.

შტრეზემანმა შეუძლებლად წერს გერმანიაში ქაოსის თავიდან აცილება, ვიდრე არსებობს რეისტრაცია. თუ შტრეზემანის მისია დამარცხდა, მაშინ მთელი ძალა-უფლება გადაეცემა ერთპიროვნულ დიქტატორს.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შეიღებნა რეისტრაციის უშუალო „საგეგმო“, რადგანაც მან დაუშვა ისეთი კრიზისი, რომელსაც შეიძლო გადატარებულა გამოეწვივინა. შეიღებნა მაინც იმედი აქვს, რომ მუშები და სოციალისტები შესძლებენ რესპუბლიკის ხსნას.

ანი პასუხი.

3. ეროვნული საკითხის გარშემო.

მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდება ამბ. ამალობელი. იგი ჩემს პირთველში მოთავსებულ მასალებს სხვა მხრიდანაც პირთავს და არკვევს თუ რამდენი ციტატა რამდენჯერ გავიმეორებ მე. ოპონენტს აქაც კოვზი ნაცარში ჩაუყარა და საკუთარი ლიტერატურული უსუსურობა გამოამჟღავნა. როდესაც ჩემს ფელეტონებს ვსწერდი, მე ყოველთვის მასობდა არ. ჯორჯიანის შემდეგი სიტყვები: ჩვენებურ ბათაბალა პუბლიცისტებს თუ ყოველივე არ დაუდებე და ნათლად არ აუხსენი, ათასგვარ ხბიკს მოგვდებს და გამოგვადგება ყოველ წინადადებისა და სიტყვის გამო. და გამოგვადგება ისეთი მეცნიერული კილოთი, ისეთი ოლიმპიური ხასიათის მედიტაციებით, რომ თუ გაფრთხილებით არა ხარ, პირველ შეხვედით დაფრთხილავს კი დაგინებს“ (იხ. „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“ გვ. 49—50, 1907 წ.) ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია ჩემს ოპონენტზე: ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას მეცნიერულისა და დიდი ლიტერატურული რიხით მედავება, მაგრამ მთავარი სადავო და სანატრესო საკითხის შესახებ კამათს კი გვერდს უვლის.

ოპონენტი სცდილობს დაამტკიცოს, რომ მე ციტატების განმეორებით მექანურად ვსცდილობ დავსტროფ ვითარებებზე. ციტატების განმეორებას მართლაც აქვს ადგილი ჩემს წერილებში და ეს სრულიად შეგებულად ჩავიძინე: 1) ოპონენტმა თავის პირველ წერილებშივე გადაამახინჯა მარქსისა და ენგელსის ჩემ მიერ მოყვანილი ციტატები და გამოაცალა წინასწარი მიზნით ციტატებს ის ადგილები, სადაც ეროვნულ მომენტზე იყო ლაპარაკი, მე მათი აღდგენა დამსჭირდა, ხოლო რომ ეს მეორე პასუხობა წერილებში არ გავიმეორებინა წესიერ ოპონენტს, მე იძულებული შევიქნე ხშირად მომეყვანა მისთვის ციტატები და ხშირად ვსწერდი გაიხსენე ეს და ეს შეთქი; 2) ჩემი ფელეტონები იმეტიდებოდა დრო გამოშვებით, ამ გარემოებაშიც გამოიწვივა ციტატების განმეორება; 3) ზოგიერთ ციტა-

ტიმო სილვიაში, წარმოებებიდან მომავალა, მიცემულ ხელფასით უმცაყოფილო მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია და შეეცადნენ სასურსათო დუქანებში შეეცივნას. მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რასაც რამდენიმე მუშის სიკვდილი მოჰყვა.

გერმანიაში ახალი კაბინეტის შედგენა ძნელდება. სოც. დემოკრატმა და ნაციონალისტებმა აუკრძალეს თავის წევრებს ახალ კაბინეტში შესვლა, თუმცა მათ მიიღეს შტრეზემანისაგან წინადადება. შტრეზემანს მაინც იმედი აქვს, რომ შეადგენს კაბინეტს.

სარწმუნო ცნობებით, რურს ოლქის 18 ციხეში იმყოფება 18.000 დაპატიმრებული გერმანელი გარდა ამისა ბევრი დაპატიმრებული გერმანელი გადაყვანილია საფრანგეთისა და ბელგიის ციხეებში.

შტრეზემანმა შეადგინა წინასწარი სია მომავალ კაბინეტის წევრებისა შემდეგი სახით: პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი, თავდაცვისა და შინ. საქმეთა მინისტრი—გესლერი, უინანსთა და სახალხო მეურნეობისა—ლოუტერი, სასურსათო საქმეთა—ფონ-ოპოკი, შრომისა—ბრაუნსი და ოკუპაცია ქმნილ ოლქებისა—ფუსი. ამისა და აგრეთვე მომავალ მთავრობის პროგრამის ოფიციალურად მოახსენებს რეისტრაციას.

საქმეო კია, რომ მან მიიღოს ორი-მესამედი ხმებისა, რომელიც საჭიროა ნდობის გამოსაცხადებლად.

„ფორვერტი“ ფიქრობს, რომ სოც. დემოკრატები არ გამოუცხადებენ მას ნდობას.

ნაციონალისტთა ფრაქციამ აცხობა სახალხო პარტიას, რომ შტრეზემანს მათი იმედი არ უნდა ჰქონდეს.

მიუხედავად წინააღმდეგობის მოსპობისა, ფრანგები განაგრძობენ ყოველ დღე დაქვრილ ოლქებიდან გერმანელების გადასახლებას და ფულის დიდი თანხების კონფისკაციას.

ხლთმაზათს ფრანგებმა წაიღეს 800 მილიონი მარკა.

ბრიუსელში შესდგა მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომის ორი სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა გერმანიისა და ბოლშევიკების მდგომარეობა.

გერმანიის ყველა კუთხეებში გრძელდება და უფრო და უფრო ძლიერდება კომუნისტების დევნა.

საქსონიის სოც. დემოკრატიული და კომუნისტური ორგანიზაციები გაერთიანებულად მოქმედებენ.

ასეთივე დადგენილებები გამოაქვთ სხვა კუთხეების ორგანიზაციებსაც.

ბერლინის მებჭედათა საერთო კრება თხოულობს კომუნისტური პრესის დევნის მოსპობას.

საფრანგეთის პრესა შეშფოთებულია შტრეზემანის გადადგომით.

პრესა ამჟღავნებს საზოგადოებრივ აზრს და აღნიშნავს, მიუხედავად გერმანიის კრიზისისა, ოკუპაცია ქმნილ ოლქების ექსპლოატაციის საჭიროებას.

ვიურტემბერში მოსალონელია ნაციონალისტების შეგლა მთავრობაში.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

შოხოვი. სახლავარ გარეთიდან დაბრუნებულმა პროფესორმა ლეიტენანმა განაცხადა, რომ მან მოიარა პოლანდია, დანია და გერმანია და ყველაგან შეაქინა დიდი ინტერესი რუსეთისადმი. საზოგადოებრივი სამეცნიერო საზოგადოებების დაქინებითი

ტაში ორი-სამი სხვა და სხვა დებულებები არის გამოთქმული მარქს-ენგელსის მიერ (ესც აუცილებელს ხდის მათ განმეორებას.)\*

თავის თავად ციტატების განმეორებაში მე არავითარ დასაძრახისს არ ვხედავ, თუ ეს მიზანშეწონილად და შესაფერისად არის განმეორებული. ჩემს ფელეტონებში მე შევიყვანე 75 მერტი დიდი და პატარა სხვა და სხვა ადგილები მხოლოდ მარქს-ენგელსის ნაწერებიდან და სიტყვებიდან სრული უფლება მქონდა რამოდენიმე ციტატა გამეტარებინა და შესაფერისად გამოეყენებინა; 75 ციტატადან, ოპონენტის გამოანგარიშებით, მე განიმეორებია შეიძო; რა არის აქ დასაძრახისი?

მაგრამ ვიკითხოთ, დაარღვია კი რომელიმე თუ გინდა ერთი ჩემ მიერ მოყვანილი ციტატა ოპონენტმა და სწრა იგი შეუფერებლად და მიზანშეწონილად?

\*) ერთი დამახასიათებელი მომენტი თავის „სტატისტიკურ ცხრილში“ სადაც ამალობელი აღნიშნავს იმას, თუ რამდენჯერ გავიმეორებ მე ესა თუ ის ციტატა, სხვათა შორის სწერს: კომუნ. მანიფესტის „პოლონურ გამოცემის წინასიტყვაობიდან სან—დონმა გაიმეორა—სამჯერ; კომ. მანიფესტის“ ქარ. გამოც. გვ. 65—4 ჯერ; (524). მე ვამტკიცებდი, რომ ამბ. ამალობელი ზებირად სწერს წერილებს მეტი და არ ეცნობა ჩემ მიერ დასახელებულ წყაროებს; ეს პატარა მავალითი საუცხოოდ ამტკიცებს ჩემს მოსაზროებას: სწორედ ქართული გამოცემის 45 გვერდზე წარმოთქმულია ოპონენტის პოლონური გამოცემის წინასიტყვაობა. ოპონენტი არ გასაჯილა ჩიუხედა მასალებში: მას ჰქონია პოლონურ წინას. ცალკე წყაროდან მომყვამს, ხოლო ქართულად (65) კიდევ სხვა და ასე ადგენს თავის სტატისტიკას, ან როგორც თვითონ სწერს: „შედეგადი არის ზერედე გადათავადიერება“. ზერედე გადათავადიერებით შედეგადიერება არა მარტო ციტატების განმეორება, არამედ მთელი მისი პასუხი. მეორე მავალითი: ენგელსის მიერ 1847 წ. წარმოთქმულ სიტყვიდან ციტატა მე მომყვამს 4 ჯერ, ოპონენტი თავის „სტატისტიკაში“ ანგარიშობს 8 ჯერ. ასე სურს მექანურად თვი-

თხოვნიტ მას მან ქალაქში მოუხდა მოხსენებების წაკითხვა რუსეთში სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ. გერმანიაში დაარსა საზოგადოებრივი „კულტურ-ტენიკა“, რომელიც მიზნად ისახავს ევროპისა და რუსეთს შორის სამეცნიერო დარგში პრაქტიკულ ურთი-ერთობის დამყარებას.

შოხოვი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა მიიღო მისწვევი ბარათი ლიონის ბაზრობაზედ მონაწილეობის მისაღებად შემოდგომაზედ.

შოხოვი. ს. ს. რ. კ. რწმუნებულმა შეეცაში ამბ. ოსინსკიმ „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა, რომ შეეცაში დიდი გარდატეხა ხდება რუსეთის სასარგებლოდ. ახლო მომავალში უნდა გაიხსნას მოლაპარაკება საგარეო ხელშეკრულების დასადადებად არის იმედი ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკება დადებით შედეგებს გამოიღებს.

შოხოვი. შოხოვიმ მყოფ პეკინის ტელეგრაფის უფროსი თათბირი ქონდა ამბ. ლიუბოვიჩთან ჩინეთსა და ს. ს. რ. კ. შორის ტელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის კავშირის დამყარების შესახებ.

ნიუ-იორკი. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობა არკვევდა სამჭოთა რუსეთის ცნობის საკითხს. დადგენილება ჯერ გამოურკვევლია.

შოხოვი. იაპონიის მთავრობა გაზუთ „ოსაკა ასახი“-ში აცხადებს, რომ მან გადასწყვიტა განახ-

ახალი ამბები

ტუ. აღმასკომის შემადგომლობა. აღმასკომის პრეზიდიუმმა შეამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა სამტვის წინაშე, რათა აღმასკომის ადმინისტრაციულ და კულტურულ დაწესებულებებს მიეკეთ შეღავათი ტელეფონების სააბონენტო გადასახადისა.

ცანაურება გერმანიის პროლეტარიატს. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა თავის წარმომადგენელს ნ. ს. ს. ოქტომბრის შემოსავლის ნ პროც. გადასდოს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

დამატებე კახების კომისია. შრ. სახალხო კომისარიატმა აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან ამბ. მიქაძე და კომიაი, რომელთაც დაავალებული აქვთ გადათავადიერება დამზღვევ კასის გადასახადისა ყველა დაწესებულებაში.

მეტეზარეობის და შესაქონლეობის საზოგადოების ყრილობა. დღეს, ყოფილ ქართულ კლუბში, დილის 12 საათზე დანიშნულია მეტეზარეთა და შესაქონლეთა ყრილობა.

განათლების სახლი ხაზურში. გორის სახ. განათლების განყოფილებამ დაადგინა ვახხანას ხაზურში განათლების სახლი.

სურსათის მიღების ვადა. თანახმად სახელმწიფო მომარაგების კომისარიატის განკარგულებისა სასურსათო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა იმ მუშა მოსამსახურეებს, რომელთაც მისაღები აქვთ წესული ოფიცის სურსათი მიიღონ 15 ოქტომბრამდე, რის შემდეგაც შეწყვეტილი იქნება ვადაც.

შრომის ბირჟა. ნ ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—392 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—253 უმუშევარი. ვაიგზანმა სამუშაოზე 78 უმუშევარი.

შეუწონებლად? არც ერთი. ან რამდენი ადგილი მოიყვანა მან მარქს-ენგელსის ნაწერებიდან მათი ეროვნული პოლიტიკის დასახასიათებლად?—არც ერთი; მის წერილებში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთს ადგომს, ვერც ერთს ციტატას, მოყვანილს მარქს-ენგელსის ნაწერებიდან ეროვნული პოლიტიკისა და საკითხის შესახებ. ჩემს 75 ციტატას, რომელთა შორის დიდი უმეტესობა (ამას კატეგორიულად ვაცხადებ) სრულიად უცნობი და ახალი ხილი იყო ქართულ საზოგადოებისათვის, ამალობელმა დაუბრისპირა რვაგალი ციფრი—0 (ნული).

ამის შემდეგ ამბ. ამალობელს აქვს გამბედაობა და აძლევს თავის თავს ნებას (როგორც დავინახეთ იგი ბევრ რამეში აძლევს თავის თავს ნებას, რის უფლებას მას არ აძლევს არც მისი თეორიული ბავაყე და არც ლიტერატურული ლირსება), განაცხადოს შემდეგი: „ამბ. სან-დონი ისეთ რამეს ალაპარაკებს მარქსისა და კომპარტიის, რაც მათ არასოდეს არ უთქვამთ“ (524 ხაზი ჩემი).

მართალია, ვალდები ყველაგან და ყოველ პირობებში გაჰკვირდა: „ისევ ბრუნავს, ისევ ბრუნავს“ მაგრამ ყველას ვალდებობა არ შეეუფლებება. ეს თავისი ბრალდება ჩემმა ოპონენტმა თავის პირველ წერილში გამოაყენა (იხ. 476) ამის შესახებ მეც ვსწერდი: „მე ვთხოვ ჩემს ოპონენტს, თუ მართლა მას სურს სერიოზული კამათი და მართლაც დანიტერესებული არის საკითხის გამოკვებით (ხაზი ახალია ს. დ.) მოიყვანოს ადგილები ჩემი წერილიდან სისწორით, თუ რა ვთქმევინე მე მარქსს და შემდეგ დამტკიცოს, რომ ის, რასაც მე ვთქმევინე მარქსს, მას (მარქსს) არასოდეს არ უთქვამს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (ამალობელი) ვერალოდეს ვერ ასცდება დემაგოგის როლში გამოსვლას“ (487). როგორც ირკვევა წესიერი ოპონენტი ასეთ

თინედე გამაგალოს ჩემ ვითომდაც ციტატების მრავალჯერ განმეორება ჩემმა ოპონენტმა: თავისი „სტატისტიკურ ცნობების გამოჩხრეკის დროს ნათელი განხადოს ჩემთვის, რომ ის ზერელედ სწერს წერილებს. ამაზე იტყვიან: ქათამა ჩხრეკა, ჩხრეკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრეკაო.

ს—დ.

ლოს მოლაპარაკება რუსეთთან. იამბ. ოპონენტი გარეშე საქმეთა მინისტრს იტყინს მიანდო მოგზადადს მოლაპარაკების დაწყებისათვის. მოლაპარაკება დაიწყება არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

პარიზი. ანგორის ცნობებით, ოსმალეთი გამოცხადდება რესპუბლიკად. პრეზიდენტი ირჩევა 4—5 წლით. საქანონმდებლო უფლების წარმომადგენელი იქნება ოსმალეთის დიდი ეროვნული სამტვი. სენატის ფუნქციას შესარულებს სახელმწიფო. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (?).

ბერლინი. 4 ოქტომბერს დაიწყო ბოლშევიკთა სამხრეთ-სლავიის კონფერენცია ნეილში დადებულ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების საკითხის განსახილველად.

როში. მუსოლინი და პაშიჩი იწყებენ უშუალო მოლაპარაკებათ ფიუმისა და სხვა სადამ საკითხების შესახებ.

ლონდონი. ათინიდან „ტიმის“ ატყობინებენ, რომ სამხრეთში შრომა პოლიტიკურ პარტიებს შორის უფრო და უფრო მწყვდებდა და უკვე შორს აღარ არის სრული ანარქია.

დასჯილ გუნარისის მომხრენი აქობამდე ატარებენ თიხს (შე ლენტს ქედებზედ) და აშკარად ლაპარაკობენ ვენეზილოსის მოვლახზედ შურის საძიებლად.

უბედური შემთხვევა. 5 ოქტომბერს ნა-შუადღეის 3 საათზე რუსის ქუჩაზედ ლიანდაგს გადასცდა ტრამვის ვაგონი, რომელშიც დაუზიანა მოქ. ბაბალოვილის თეხი, რომელიც გადაგზავნილია საავადმყოფოში.

მინის გაქურდვა. მე-10-ე სამილიციო რაიონში 5 ოქტ. დილის 11 საათზე გაქურდული იქნა მოქ. პროკოფი კახიანის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ლირებულა 1.615.000.000 მანეთისა, ბოროტმოქმედი ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი.

შავ ბირჟაზე ვაჭრობისათვის. კონფისკაციის წესით ჩამოართვეს მოქ. მეერის 7 ნაბეგარი მ. ოქროთი, და 10 მარკა, ოქროები, მოქ. რიანის—15 მან. და ამიროვს 50 მანეთი.

კანტორის მოსამსახურეები. ბირჯის დადგენილებით ის მოსამსახურეებიც, რომლებიც არიციხებდნენ შრომის ბირჯაში, გადაყვანილი იქნენ რკინის გზის უმუშევართა სექციასში.

არხენ ჯორჯიანისთვის ძეგლი. არსენ ჯორჯიანისთვის ძეგლის ბიუსტის, გაკეთება დაევალა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს.

წითელ დროშის ორდენი. დამტკიცებულ იქნა წითელ დროშის ორდენი.

ვალუტის კურსი.

4 ოქტომბერი.	
ჩეკოვნიცი	56,000,000 მ.
სტრელინიცი ეფექ.	49,200,000 "
ჩეკი.	46,000,000 "
დოლარი ეფექ.	11,200,000 "
ჩეკი.	10,400,000 "
ისპალური ლირა	6,505,000 "
საბჭოთა ფული	13,000 "

სერიოზულ საკითხზე პასუხის გასცემას არ კადრულობს.

ამის შემდეგ მე ვეკითხები მკითხველს, აქვს თუ არა ზნეობრივი უფლება ასეთი ოპონენტს ჩემს შესახებ სწეროს, რომ მას (სან-დონს) არ ჰყოფილი თეორიული და ფაქტური მასალები, რომ მას თავისი სოლოციის იმედი არა აქვს? პასუხი მკითხველზეა.

4 ოპონენტის მსჯელობათა ნიშნების მეორე სერია.

მკითხველი უკვე ხედავს, თუ როგორი არა სასურველი ატროსფერა შექმნა ჩემმა ოპონენტმა. ამ ატროსფერაში შეუძლებელი ხდება სერიოზულ საკითხებზე მსჯელობა და კამათის ვაგონმელება. მაგრამ რას იზამთ? მტყუნს კარამდე უნდა მიჰყვეთ.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორი მოხერხებული საშუალებით აწარმოებს ჩემთან კამათს ამბ. ამალობელი და როგორ ამახინჯებს ჩემს დებულებებსა და ციტატებს. ასეთი ხერხი მან თავის პირველ წერილშიც გამოიყენა და გადაამახინჯა მთელი რიგი ფაქტებისა. ჩვენ საპასუხო წერილებში ეს ხაზგასმით აღვნიშნეთ და დიდი ბრალდება წამოუყენეთ ოპონენტს. ის ვალდებული იყო ამ ბრალდებისაგან დაეცვა თავი. ნაცვლად ამისა გამოომამ შემომდგავ ჩეულებრივი წესით და ჩემს შესახებ ბრძანებს: „...ამბ. სან-დონმა დაამახინჯა პარტიის ნაციონალური პოლიტიკა და ჩემი წერილების აზრობა“ (524). თუ რამდენათ დაამახინჯე პარტიის ნაციონალური პოლიტიკა ამაზე ქვევით მოვახსენებთ, ახლა კი მოვაგონებთ მკითხველს თქვენს ნათლადწარს ამავე ხერხითა თქვენსავ უპირილიში, რომელიც მე ავღნიშნე და თქვენ უპასუხით დასტოვეთ. რამოდენიმე მავალითი მე უკვე მოვიყვანე ზეკით.

ამალობელის მთელი ცდა თავიდანვე იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ დაემტკიცებინა მარქს-ენგელსი არ ეპყრობოდენ ენებს თანაგრძობით ისტორიული ფაქტები ამის წინააღმდეგს ლალადმბენ. ოპონენტმა შემდეგ ხერხს მიმართა:

1. ორლანდიის შესახებ მარქსის წერილებს ამოაცალა ის ადგილები, სადაც ეროვნულ მომენტ-

ს—დ.

ს.რ. საპ. კომუნალურ მუშაკთა კავშირის განყოფილების განცხადება

აბანოების მშენებლობის აბანოები ყოფილა კომუნალურ განყოფილების ექსპლუატაციის ქვეშ...

აბანოების შემოსავალი ა. წ. ექვსი თვის განმავლობაში უდრის ოქროთი 39,050 მან. 41 კაპ. გასული 29,816 მან. 72 კაპ.

წიგნიერი წიგნიერების მოძრაობაში მოჰყავს წყლის საშუალებით მიუხედავად ამისა ისინი იძლევიან დეფიციტს...

ელსადგურები. ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ყოფილა ელსადგურების მდგომარეობა თითქმის ყველა ელსადგურის მისაკმადა კაპიტალური შეკეთება...

ელსადგურების შემოსავალი ექვსი თვის განმავლობაში ოქროთი მოხარბალები 99 749 მ. 72 კ. გასული კი 86,904 მ. 49 კაპ.

აგრეთვე განზრახული ყოფილა დიდი ჰაღრო ელსადგურის აგება მდინარე მტკვარზე არაგვის შეერთების ადგილას...

აღნიშნულ წარმოებების შემოსავლის გარდა განყოფილებას ჰქონია მთელი რიგი სხვა შემოსავლების ვალდებულებების სახით...

ქ. ტფილისში ყოფილა სათანადო რიცხვი მუნიციპალიტეტის ქმნილ სახლების, რომლებსაც უმრავლესობა ყოფილა გადასაცემი პროცენტებით...

მოსხენების შესახებ შემოვიდა შეკითხვები. შეკითხვებზე მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი.

მოსხენებს აქეთებს გორის მაზრის დელეგატი აბ. ბოლრაიშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთავარი ყურადღება მიჰყვება ჰქონია ქალაქის ალდენისთვის და აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საქმეში დიდ დახმარებას გვიწვევდა ბ. ს. ს. კ. კომუნალური მუშაკების განყოფილება.

კომუნალურ განყოფილებას ჰქონია შემდეგი წარმოებანი: სახეობა ქარხანა, ელსადგური და ტყვეულების ქარხანა...

განყოფილების განკარგულებაში ყოფილა სათანადო რიცხვი მუნიციპალიტეტის ქმნილ სახლების, რომლებსაც უმრავლესობა უკავია საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციებს.

ხანძართ მჭობებლობა ქალაქში არ არის შემოღებული. შემდეგი მომხსენებელი აბ. ჩაღმანოვი ახალქალაქის დელეგატი.

მომხსენებელმა თავის მოხსენების დასაწყისში აღნიშნა თუ რამდენად დაზიანდა ქ. ახალქალაქი, როგორც იმპერიული სტრუქტურის, ისე სამოქალაქო ომების დროს.

ამიტომ მთავარი ყურადღება მიქცეული ყოფილა მის ალდენისათვის. შეკითხვები ყოფილა სასწავლებლები კლუბები, თამბაქოს ქანხანა და სხვა.

გაცხადილი ყოფილა გზები და მრავალი შეკეთებულია განზრახული ყოფილა პატრიარქის გზის გაშვება.

კომუნალურ განყოფილების განკარგულებაში ყოფილა შემდეგი წარმოებანი: ელსადგური, თამბაქოს ქარხანა და სხვა.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული წარმოებები იძლევიან დეფიციტს. ამიტომ ისინი გაცემული ყოფილა იჯარით.

განყოფილების განკარგულებაში ყოფილა 550 დეტენიანი მიწა. ქალაქს უკავია მხოლოდ 5 ქვეყნის საზოგადოებრივი და დანარჩენი ყოფილა ვაჭრების საცდელ მიწებზე და სამოვრად.

შემდეგ მოხსენებს აქეთებს აბ. პოპონდოპოლო. ბოლრაიშვილის მაზრის დელეგატი.

მომხსენებელი აღნიშნავს რომ კომუნალური განყოფილების მუშაობა სწარმოებდა ლუქსენბურგში (გერმ. ახალს.) და შულაგერში. განყოფილების მუშაობა უმთავრესად მიმართული ყოფილა გაფართულებული მუშაობის გაერთიანებისაკენ.

ახალშენ ლუქსენბურგში ელსადგური რომელიც ღვი ემარება სხვა და სხვა საშუალებებს ღვი ღვი აწვდის მცხოვრებლებს სინათლეს, ორი წყალსადენი 3 ხე-ტყის ქარხანა, რომელიც მოძრაობს ნავთობის საშუალებით.

ყოფილა 4 წიგნიერი ერთი მთავარი მოძრაობის წყლის საშუალებით, დანარჩენი ნავთობისაა.

ორი კონიაქის ქარხანა, ორი არაყის სახდელი ქარხანა. აგრეთვე სხვა და სხვა ადგილებში აქეთ მთელი რიგი პაღების და ენახების.

განზრახული ყოფილა ახალშენ ლუქსენბურგში აბანოს აშენება. ქ. ლუქსენბურგში არსებობს ხანძართ მჭობის რაზმი, არა აქეთ იარაღების საკმაო რიცხვი.

სხვადასხვა დასურა 8 ს. 30 წუთზე. გოგი ახლანიშვილი.

განკარგული შრომის სიკვდილი

საქდ. საჩე შრომის სიკვდილიდან. ეს წერილი ეხებოდა გამგეს დ. უზნაძეს. ბევრი ულაბა...

4. ამხ. ამალობელმა ბირველსავე წერილიდან დაიწყო ჩემი „ისტორიულ კონკრეტული მეთოდი“ და ხელაღებით, „ოქტომ“ უარყო იგი. ისტორიულ კონკრეტულ მაგალითების უარსაყობად...

მაგალითების უარსაყობად, მაგრამ იმდენად დამახინჯებულად და „ხერხიანად“ გადმოგვცა ისტორიული ფაქტები, რომ მის თავისი რეალური და ისტორიული ფაქტები და შინაარსი დეკარაგა.

მე დავეცილე „კონკრეტული მეთოდის მეთოდის საჭიროება“, ავღნიშნე, რომ ამხ. ამალობელი თავისი მაგალითებით აწვარდა, შეგნებულად. ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს და ვსწერდი: „მეთოდით“ გლეჯს ჩემი ოპონენტი ისტორიულ ცხოვრების წარსულიდან მაგალითებს, აცლის მას სულსა და გულს, ასე შეგვეცილე გადმოცემით ხელაღებულ ამახინჯულ ისტორიულ ფაქტებს.

ვინც ისტორიულ მაგალითებს ასეთი ხერხით მიუღებდა, ის რასაკვირველია, ვერაფერს გვიგებს და მართლაც, აირევა ყოველივე და თავსა და ბოლოს ვერაფერს ვაძრთმევს (487). როგორც ვხედავთ არა მარტო ამახინჯის დებულებების, არამედ ისტორიულ ფაქტების ფალსიფიკაციის როლშიც გამოიყენა ოპონენტი. მის ეს მართლდება გარკვევით წამოუყენებს. ესეც დემონსტრირებაა ამხ. ამალობელმა და არც (თუ ვერც) თავისი დებულება დაიცვა „ისტორიულ კონკრეტული მეთოდის“ უარყოფის შესახებ და არც ფაქტების ვალდამახინჯების გამო წამოყენებულ ბრალდებებზე პასუხი გავცეცე.

მეთოდის ნუ დაივიწყებს, რომ ასეთი ოპონენტისაა ჩემი ოპონენტი ახდენდა პატარა წერილის ფარგლებში, რომელიც ერთს ფელეტონსაც კი არ შეადგენდა. ჩემი მოვიყვანეთ ვადამახინჯების ის ნიმუშები, რომლებზედაც პასუხი არ გავცეცა ოპონენტს და დღემდე არჩია, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მისი წერილები. ჩემ მიერ აღნიშნული იყო სხვა ფაქტებიც, რომელზედაც ცდილობს ასე თუ ისე პასუხი გავცეცე თავის მერვე საპასუხო წერილში. ვაგისინჯოთ ეს ფაქტებიც.

5. მე მქონდა ჩემს პირველ წერილში მოყვანილი კონკრეტული მაგალითები როგორც მოძრაობის...

რომ აღრესტო ამ ქმამთ აქ არ იმყოფება. მე კი ვფიქრობ რომ ჩემი წერილი სწორედ დროული იყო და არც ითმინდა ვადიდებას, ვინაიდან 1) ახლა იწყება სასწავლო წელი, ხდება ახალი გადაჯგუფება...

ბანი სკოლათა ცხოვრებაში და ასეთ დროს სწორედ საჭიროა გამოკვეთილი იქნას ბევრი რამ, რათა შევძლონ გამოვრეცხვოთ არ იქნება? 2) თუ რაიმე დაუდევრობას ჰქონდა ადგილი, ამაში ავტებს პასუხს...

არა მარტო უზნაძე, არამედ მისი თანამშემოეც, რომელიც დღეს აქ არის, და საბუთი: ვინ უნდა გავცეს პასუხი—საბუთოა. ჩემი აზრი გამართლდა: ვერ კიდევ მთლიან არ იყო გამოკვეთილი ჩემი წერილი, რომ მაშინვე იხსნა ფარხნაული ყოფილმა გამგემ და ახლანდელმა გამგის ამხანაგმა დროითე ფირცხალავამ და საპასუხო წერილი აფრინა რედაქციაში, რომელიც უკვე დაისტამბა „ტრიბუნის“ № 589 ბ. დროითე ოსტატურათ მოიქცა, მან თავი მოიგარინა, ვითომ მე არაფერი უნდა ვარო და წერილი პედაგოგიურ საბჭოს სახდელი გამოაქვეყნა.

მე ვადაქრით ვაქნაღებ, რომ არავითარი პედაგოგიური საბჭოს ხსენება არ ყოფილა, რომელსაც განხილობს დასახლებული წერილი. ახმ. დ. ფირცხალავამ თითო თითო მიაჩნა ხელში მოსამსახურებელი, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი და ხელი მოაწერია ისეთ ამხანაგებს, რომლებიც საქმეს დაწვრილებით არ იცნობენ. ვინც გაცნობილი იყო საქმეს, მან უგანვე მიხალა მას ეს წერილი. სასწავლებელში 10 საგნების მასწავლებელია, ამათში მხოლოდ ორს აქვს ხელი მოწერილი. დანარჩენები არიან: კანცელარის მოსამსახურენი (ეკონომი, საქმის მწარმოებელი და თეთი ამხ. დროითე) და ხატვა-გალობა—ხელაგრობის მასწავლებლები, რომლებიც სრულიად არ იცნობენ საქმის შინაარსს, და როდესაც გავცნობიან, ისინიც ისე მოგახალავებენ თავში თქვენს ნაცოდვალეებს ამხ. დროითე, როგორც ეს საქმეზე გაცნობილმა ამხანაგებმა ჰქვენს. მაგრამ არის ისეთი რამ, რის უარყოფა არც ათასი კაციც ხელის მოწერით შეიძლება. საქართველოში ერთს მილიონს კაცს მოვაწერებ ხელს, რომ დედა-მიწა ხარის რქებზე ტრიბუნებს, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ ხელის მოწერას?! მე ფაქტებს აღნიშნავ, და კეთილ ინებებ ბ. დროითე და დაარღვიეთ. თქვენ მძინებანი: „სკოლაში გამგეს მხრივ არავითარი ბოროტმოქმედება და დაუდევრობას არ ჰქონდა ადგილი“. ვინაობ: 1) შარშან ამხ. ფირცხალავა დაბლა საართულში ცხოვრობდა და ეცირა სამი ოთახი. მას არ მოსწონდა ეს ოთახები და დაიკავა ახალი კორპუსის მეორე საართულში სამი ოთახი. ამას წინააღმდეგ გამგემ, მოუდელათ შეტაკება. ამ შეტაკების დროს თქვენ, ამხ. დროითე, მასწავლებლებთან შორის გაიძახოდით გამგის შესახებ: მაგის იმდენი ბოროტმოქმედება აქვს ჩადენილი აქ, რომ გავაცხადო სამსახურიდან დაითხოვენ და პასუხისგებაში მისცემენო. ახლა მძინებანი: თუ მაშინ თქვენ მართლად ამბობდით, ახლა რა უფლება გავტე გავაცხადო: „არავითარი ბოროტმოქმედებას ადგილი არ ჰქონიაო“? და თუ ახლა ამბობთ მართლად და მაშინ სტყუობდით, რა უფლება გქონდათ თქვენ, ამხ. დროითე, ცილი დაგეწამებოთ პატიოსანი კაცისათვის. რა უფლება გქონდათ თქვენ გავგეგმვითა ასეთი პირი მის მომავალ თანამშრომელთან შორის, რომლებიც იმავე დროს როგორც პედაგოგები წევრები, ოფიციალური პირები ვიყავით? რა ეწოდება ასეთს თქვენს საქციელს? რატომ გავმოიცვალა ამხ. ფირცხალავამ შარშანს აქეთ აზრი?

ბიდან ირლანდიის, პოლონეთის, ელზას-ლორენის შესახებ და მათდამი მარქს-ენგელსის დამოკიდებულება. მე ეს დიმიოკიდებულება მათი პოლიტიკური ნაზი „სალად“ და სწორად“ მივიჩნიე, ოპონენტმა მიხერხებულად დასტოვა გაურკვეველი ეს ისტორიული მაგალითები (როგორც ზეითი ავღნიშნე, მარქსისა და ენგელსის ციტატები თავისებურად ვადაამუშავე) და საკითხი ზოგად სფეროში გადაიტანა. ამის შესახებ ვსწერდი: „ამხ. ამალობელი განზრახ გვერს უფლის ჩემ მიერ ზემოდ წამოყენებულ კითხვებზე კონკრეტულად პასუხის გაცემას და საკითხი ზოგად სფეროში გადაიტანა. აქედან წარმოსდგა საკამათო საკითხის მთავარი აზრის და მახინჯება“ (485). ამხ. ამალობელი სცილობს დამტკიცებს თავის საპასუხო წერილში (523) რომ მე ზოგადი აზრიც მქონდა გამოთქმული და ამიტომ მასაც უფლება ექნოდა ასე მოქცეულიყო. მაგრამ „ცდებისა“ და „ძიების“ დროს ის განზრახ ივიწყებს ერთ რამეს: ჩემს პირველ ფელეტონში (470) კონკრეტული ფაქტები იყო მოყვანილი და მათ შესახებ მან არავითარი კონკრეტული პასუხი არ მოგვცა.

მე ვსწერდი: როგორ უნდა ვადათილოს ამ შეხედულების მოწინააღმდეგე ჩემი დასაქვები? მან უნდა შეისწავლოს ეს ისტორიული პერიოდი, რომლის შესახებაც სწერდნენ მარქს-ენგელსი და დამტკიცებს ფაქტებით ხელში, რომ ამ პერიოდში სრულებით არ იყო მარქს-ენგელსის პირე ვაგებულები და დაუდებელი სწორად ეროვნული საკითხი, რომ მათ ირლანდია-პოლონეთ-ელზას-ლორენის ნაციონალური ინტერესების ვერაფერი ვაგებს და ამიტომაც საკითხი უაღბად დააყენეს. ამის შემდეგ ოპონენტს უფლება ექნოდა დასვას საკითხი, თუ რატომ ვერ დააყენეს აღნიშნულ ერების საკითხი განსაზღვრულ პერიოდში სწორად და ეძიოს მარქს-ენგელსის სოფლმხედველობაში ამის მიზეზები. ასეთი მიდევრობით საკითხი გარკვეულ კალპორში დგება და ლოლიკაც თავის ქალაში რჩება“ (487 ხაზი ახალი). მეთოდის ნათლად ხედავს, რომ მე სრულიად არ უშლიდი ამხ. ამალობელს საკითხი „ზოგად სფეროში“ მარქს-ენგელსის მათგამდევლობასთან დაკავშირებით ვადაეტანა, მხოლოდ მოვეთხოვდი წინასწარ ჩემი

აი რატომ: რადგან გამგემ ველარ მიუხედავად დროითე, მან არჩია მასთან სიმბოლო. დინიშნა ის თანამშემოე შრომის 4 კორპუსი და პედაგოგობა ნუსტიტუტშიაც (ავუსუსს) როგორც შრომის სკოლის გამგე ის მიიღებდა მხოლოდ 20 მარქსის ქალაქის საშვალბა მიეცა ორი უწყებით 57 მანეთი მიეღო ბინით, განათება გათბობით და სხ. მოჰყვა შემხატებლობა და შარშანდელი „ბოროტ-მოქმედი“ ვასპეტაკდა (აღსანიშნავია, რომ არსებული მეორე პედაგოგიური ტენიკუმის და იმავე დროს შობის სკოლის გამგემ მიიღო სექტ. 428 მილ. მან., მისმა თანამშემოემ 180 მილ. მან. ჩვენთან კი პედ. ტენ. და შრომის სკოლა ერთი იყო, რადგან მას ერთი გამგე—თანამშემოე ჰყავდა, ამავე დროს ისინი სხვა და სხვა იყვნენ, ამიტომ ორი უწყებით—გამგემ მიიღო 628 მილ. და მისმა თანამშემოემ 466 მილ. მან.

მე რა მოჰყვა, ამხ. დროითე, თქვენ მიერ სამა ოთახის დაქირა? აი რა: როდესაც ინსტიტუტი გაიხსნა, საქირო შეიქნა ბიბლიოთეკის და ხატვის კლასის დაქლა, ბიბლიოთეკა ნახევარი ოთახში შეიტანეთ და ყველაფერი თავდაყირა დაჰყარეთ ისე რომ, როგორც იტყვიან, ემსაკი ფეხს მოიტეხეს; ხატვის კლასი სამსწავლებლოში მოათავსეთ, სამსწავლებლო—ყოფილ „რაზდევლინიში“ ჩაიტანეთ, ამას მოჰყვა საკლასო ოთახების ბინათ გადაკეთება, თქვენთვის სამხარეულოს აგება, ზოგან გატობგრა, ზოგანსკარების გამომტრევა, ზოგან ამოქოლვა და ამ თქვენს საპირადო რემონტს მიუხდა კონსარიალისაგან მიღებული საშვალბანი, საცდელ საჩვენებელ საქმედ კი ველარ მიუღწია, შეიძლება თუ არა ყველა ამის აცილება?

სასწავლებელს აქვს ქუჩის პირათ ორ საართულიანი სახლი, რომელიც ერთს გამგეს უჭირავს. რა იქნებოდა, რომ ამ ბინის საზოპარო კრიზისის დროს ცოტათი შეგვეცვიათ თქვენი მადა, ორი გამგე მოთავსებულიყვით ამ სახლში—თითო სართულში? მაშინ ხომ დავალწვედით თავს ყველა იმას, რაც ზეით არის აღნიშნული? მაგრამ თქვენ უარი სთქვით თქვენი მადის შეგვეცახე. რა ეწოდება ამას, ამხ. დროითე, დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება?

2) 1921--22 აკად. წელში მე ვასწავლიდი გეოგრაფიას თითქმის ყველა საბჭოს სხდომაზე ვთხოვედი მოგეტანა ერთი ჟურნეი სილა სავარჯიშოდ (მაშინ თქვენ ნამდვილი გამგე ბრძანდებოდით). მეორე წელში გეოგრაფიის მასწავლებელი ნ. ცაგარელი, ყოველ დღეს გიმეორებდათ იმავე თხოვნას და თქვენ ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეთ ერთი ჟურნეი სილის მოტანა. ეწოდება თუ არა ამას დაუდევრობა? ფული არ იყო? სამხარეულოს ასავებათ ხომ იზოვეთ ფული?

3) იყო დრო, როდესაც სახელმწიფო და მისი მუშა-მოსამსახურენი განიცდიდნენ აუტანელ გაკვირვებას, როდესაც სახელმწიფო უსაღსრობის გამო იძულებული იყო უარი ეთქვა 50--60 ზაგშისათვის ერთი მასწავლებლის დაქირავებაზე და ჩვენს სწავლა მოწყობებულ პროფესორებშიც კი ოთხი იხურებოდა. და ამ მძიმე დროს გამგეს ჰყავს დაქირავებული თავისი ქალისათვის ბინა, ვინმე გვრეტე ერნა, რომელიც იღებს სახელმწიფო ჯამა-

ფაქტების ანალიზი გაეკეთებინა და კონკრეტული პასუხი მოეცა მათზე, რადგან მე ამ კონკრეტულ ფაქტებზე მქონდა უმთავრესად საუბარი.

6. როგორი ხერხით ვააჩნია ამხ. ამალობელმა ჩემი პირველი წერილები? ზემოთ მოყვანილი ციტატის გავრცელებაში მე ვსწერდი: „ნაცვალ ასეთი მეთოდისა ამხ. ამალობელმა სულ სხვა ხერხს მიმართა, იგი არ ახდენს ამ ფაქტების ანალიზს, მაგრამ რიხით აღნიშნავს, რომ მარქსის სისტემა არ სცნობს ეროვნულ საკითხს, როგორც დამოუკიდებელ ფაქტორს და... სტალინისა და ლენინის პოლიტიკის მაგალითებით ამათილებს ჩემს დასკვნებს... ამხ. ამალობელს კონკრეტული მაგალითების მეთოდის უარყოფამ იმდენად დაუბნია გზა-კვალი, რომ მისთვის აღარ არსებობს არც დრო და სივრცე, არც სხვა და სხვა პიროვნებანი, არც სხვა და სხვა ენობები და პერიოდები. მან წაშალა ყოველივე საზღვარი ამ მიმდევრობათ შორის და აღარ იცის საკითხის როგორ მიუხდეს. მარქს-ენგელსი სწერდა განსაზღვრულ პერიოდებში გარკვეულ ერებისათვის, ეს მე ჩავთვალე ნიმუშად ეროვნულის საკითხის „სალი და სწორი“ დაყენებისათვის. ამ დასკვნისათვის ამხ. ამალობელი მე პასუხს მაგვიბნებს არა მარქს-ენგელსის მაგალითებთან, არამე მისი მიმდევრების სტალინის, რომელიც სხვა პირობებში სწერდა და სხვა კონკრეტული მაგალითი აქვს შეხედულებაში და ლენინის, რომელიც სოციალისტურ ემოქაზე სწერს. ეს არის კამათი? არა, ეს არის აშკარა დამახინჯება ლოლიკისა და ფაქტების“ (იქვე) პასუხი? პასუხია ოპონენტი იწერს: თუ აბ. სან-ლონს არ სურდა მარქს-ენგელსის ინტერპრეტაციის ფარგლებს ვაშორებოდა, მართლაც რა საქირო იყო კომინტერნის შესახებ ლაპარაკი; ხოლო რადგან მასზე ლაპარაკობდნ, მე უფლება მომეცა შეეკითხებოდი—იღებს თუ არა იგი ლენინის თვალთშორის... ნაციონალურ პოლიტიკის შესახებ“ (526 ხაზი ჩემი). ესეც პასუხია არა? მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდება ოპონენტი და ლენინის ინტერპრეტაციის შესახებ ჩემს წერილებში წინააღმდეგობა აღმოაჩინა. ვაგისინჯოთ ფაქტები.

(შემდეგი იქნება)

ბან-დონი.

გორს და ულუფას. ეს ამბავი გრძელდება მგონი 1918 წლიდან აქნამდე და უწყვეტად სადაც ბონა დარაჯი ითარგმანების ზოგჯერ თქვენც აწერთ ხელს. რა ეწოდება ამას, ამბ. დოროთე, დაუდგერობა თუ ბოროტობა?

4) სასწავლებელს აქვს სათანაო უფროსი გარდა 250 კვ. საფარველზე შეკავებული ადგილი. აქ მკენარებიც არის და ცალკეი ადგილიც, სადაც შეიძლება შრომის პროცესების მუშაობა გატარება. მაგრამ როგორც ჩავიყვანე შიგ ბავშვები, გამოიქცა დარაჯი ქალი: „незая, воспрещается директорский сад, директор не разрешает“. ერთი სიტყვით არ შეიძლება დასახლებული ბაღით სარგებლობა, ამიტომ იყო, რომ მასწავლებელმა ნ. სანთიმე საცდ. საჩე. შრ. სკოლაში მასწავლებლების კონფერენციებზე განაცხადა: „мы неименнее хоча, чтобы к возможности нам не удалось провести трудовые процессы в природе“. რა ეწოდება, ამბ. დოროთე ამას დაუდგერობა თუ ბოროტობა?

5) ჩვენს სასწავლებელს ჰქონდა მიცემული ნაჭერი მიწა ბოსტნისათვის; შარშან საქმით თანხა დაიხარჯა მის შეკავება-მოწყობაზე, შიგ ბოსტანიც იყო, მაგრამ მოსავალი ცუდი შეიქმნა, რადგან გვიან დაიშვავდა, ვფიქრობდით წლებიდანელი მოსავალით აგვენახლარებია შარშანდელი ხარჯები. ბოსტნის გაკეთება მომანდგეს მე ერთი კვირა გავცდინე სასწავლებელს, დაგაბრავი, ერთი ორმოც გვაკეთეთ სანერგისათვის; განყოფილებებმა თავიანთი კუნძული მიიჩინეს და ხალხით შეუდგენ დაიშვავებას.

როდესაც მოვსახობე შეიძინეთ თესვით და და ცხენის ნაკელი მეტი (სანერგისათვის), პასუხით მივიღე წელს ბოსტანი არ გვიქმნება, ფული არა გვაქვს რომ შევკავებოთ და თესვით და შევიძინოთ (ცინილამაც დამით ერთს ადგილს საკვეთელი დანაგრა). ეხლა მოთხარით; განა შეიძლება ასეთი თაოსნობით რაიმე სახეგნებელი გაკეთდეს. თუ ფული არ იყო, რატოა გააცდინეთ ერთს კვირას სასწავლებელი დაბარავთ? ზემოთ აღნიშნული რემონტებისათვის და ბინისათვის ხომ იყო ფული?

რა ეწოდება ამას, ამბ. დოროთე, დაუდგერობა თუ სხვა რამ კიდევ?

წერალზე ხომ ხელს აწერთ ამბ. დოროთე, როგორც პედაგოგიური საბჭოს წევრი, ვინ გინდათ შეიყვანათ შეცდომები?

თქვენ გამგის თანამშრომელი და მასწავლებელი თვით პასუხისმგებელი ბრძანდებით. შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე თვით გამგე, ვინაიდან ის ბევრს ადგის მუშაობას: ითვლება ინსტიტუტის დირექტორად შრომის სკოლის გამგეთ, ისტ. ფა. დეკანოზ, პრეფესორათ, სამეცნიერო საბჭოს წევრათ, მუშ. ფაქულტეტზე, სამხედრო სას. პედაგ. საბჭოში და რა ვიცი კიდევ სად. ცხადია ის ყველაზე ვერ გასწავლება, და თქვენ კი სულ მაქა ხართ.

დიდი საქმის გაკეთებისათვის აგრედვე საქობა შეთანხმებული კოლეგიური მუშაობა, რაც თქვენს მეთაურობით შეუძლებელია შეუძლებელია იმპროვიზაციით, რომ თვით თქვენ არა გქონს კოლეგია, არც არაფერს პკითხავთ პედაგოგიურ საბჭოს, ყველაფერს აკეთებთ ადმინისტრაციული წესით. ასეთი იყო მდგომარება თქვენს შესაბამისად საჩვენებელ შრომის სკოლაში ყველაფერს აღნიშნა ერთობ ძნელია, ისედაც წერილი გაიკვირებოდა; ჯერ-ჯერობით ისეც კმარა: ყველა ეს იწვევდა წი-

ნაღმდგომბას და უსამართლობას, რაც სასურველი არ არის საერთო მუშაობის დროს.

ასე იყო თუ ისე, უფრო ჯერ-ჯერობით ნ მასწავლებელი წავიდან-ხსენებულ სკოლიდან. აღნიშნულ წელს ახალ შტატთან მოვალეობათ მუშაობა იქ მინც გამოიხატე საერთო ენა, თუმცა მე ამის იმედი არა მაქვს, ვინაიდან არ ვათვთობდებო ყოვანი რაინდ რომ ხეზო ქვემოთა.

დასასრულ, თუ მართალი ხართ, სიმატელე თავს არ დაიბაღვს. დაანებეთ თავი ფაქტიური დადგინებებითა წერას ამით საქმე არ გამოირკვევა. მე გიყვებით თქვენ შემდეგ პრალდებებს:

1) მთელი წლის განმავლობაში სამასწავლებლოში სკამები არ გვდგათ მასწავლებლებისთვის.

2) კარებს სახელურები არ გავუკეთეთ და ეს იწვევდა არე-დარევას გაკეთებების დროს.

3) შეკვეთი არ იკეტებოდა და დღესაც არა აქვს გაკეთებული საკლიტები.

4) მინერალოგიური ვიტრინები ვერ გააღეთ მთელი წლის განმავლობაში.

5) საბუნებისმეტყველო კაბინეტი დასკოლეთ ფსიხოლოგიური კაბინეტისთვის პედ. საბჭოს დადგინებების წინააღმდეგ და ორი კლასი ნესტიან ოთახებში მოათავსეთ.

6) დოკუმენტი სამი მშრალი ოთახი (უწინდელი ბინა დაიწყო) და ამას მოყვა საპირადო ხასიათის რემონტი (მაშინ, როდესაც შეიძლებოდა ორი ოჯახის მოთავსება ორ სართულიან ხახლში) და ნამდვილათ სასწავლო საქმის გასაკეთებლად ფული არა გვაქვსო—გაიძახოლით.

7) ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეთ ერთი ღრევი სილის მოტანა.

8) ბინა გყავდათ დარაჯათ ჩაწერილი და ადლებდით სახელმწიფო ჯამაგის.

9) სასწავლებელი ვერ სარგებლობდა სასწავლებლის ბაღით, რომელსაც ეწოდებოდა „დირექტორსკოი სად“.

10) მოწაფეები გააცდინეთ, საბოსტნე დაბარეით და მერმე „ფული არა გვაქვსო“ ხელი ააღებინეთ.

11) კომისარიატმა მისცა სახაფხულად სოც. სარკ. შრომის სკოლას მასწავლებლებისათვის ორი ოთახი მანგლისში; სხვა სკოლებმა ისარგებლეს ამ ოთახებით; ჩვენმა კი ვერა, რადგანაც თქვენ მასწავლებლებს არ აცნობეთ, ან განგმ დაუშალეთ ან დაუდგერობით ჩაიღინეთ (მაშინ უზნაძე აქ არ იყო, ეს თქვენს საკუთარი დანაშაულია).

ეს არის ჩემი ბრალდებები ჯერ-ჯერობით. თუ მართალი ხართ—აი სამედიცინო სასამართლო, ამაზე კარგი რა უნდა იყოს მასწავლებლისათვის? ჩემს მედიცინურებს დავასახელებ მერე დღესაც, როგორც თქვენ სურვილს განაცხადებთ. უფლებას ვიტკობე „ახალი პუნქტების წამოყენების მაგრამ აღმათ თქვენთვის ეს არ იქნება ხელსაყრელი. იმ შემთხვევაში—მიმართეთ ოფიციალურ სასამართლოს და იქ გაიკეთებ პასუსს.

დასასრულ იმ ორიდეთ თანამშრომელთა საყურადღებოთ, რომლებმაც იცოდენ გარემოება, მაგრამ გამოიჩინეს სისუსტე და ამბ. დოროთეს ფურცელს ხელი მოაწერეს. ამხანაგებო, ნუ დაივიწყებთ რომ თქვენ მასწავლებლის ხართ. თუ თქვენ პედაგოგიური საბჭო ხართ და იცით, რომ გამგე ფაქულტეტში სხვაგან გადასყვანათ წარადგინა, ბლბათ ისიც გეცოდინებოდა, რომ დაიშაბურა მან ასეთი „წარადგინა“, რა იყო ამის მიზეზი?

მ. ფაჩუაშვილი.

სახელების ამბები

(წერილი მესხეთიდან) თეთრი მიწა. საერთოდ როგორც საქართველო შემკულია მრავალ ფეროვანი ბუნებით, მანდულობით, სამკურნალო წყლებით და სხვა, ისე კერძოთ ახალციხის მახრაც დაუღიღობებულა.

ახალციხის მახრავში სოფ. ყოფილ ბეიანში მამულში ძველ უზარმაზარი მთა თეთრი მიწისა (რუსულად ეძახიან „ინფუორანია—ზემლია) ამ მიწით აკეთებენ გასაშრობ ქანდაკებებს, სახმარ ქურტელს და სხ. აღნიშნული მიწა ყოფილ მემბულე ბეთანიშვილის ჩამორთვა და კომუნალურ განყოფილებაში გადავიდა.

ამას წინათ ზევით აღნიშნული თეთრი მიწა (ნატეხებით არის, როგორც ქემარილი) ათი ათასი ფუთი წაიღეს აზერბეიჯანში.

კომუნალურ მეურნეობას მოსვლია რუსეთიდან თეთრი მიწის დაკეთა.

ქალაქის ახალ ნაწილის სამკითხველო-ბიბლიოთეკა. ქალაქის ახალ ნაწილის წიგნთსაცავი-სამკითხველო დიდხანი არსებობდა ალექსანდროვის ქუჩაზე, ქალაქის შენობაში, სადაც მკითხველს იზიდავდა.

დღეს ეს სამკითხველო-წიგნთსაცავი გადატანილია ყოფილ სომეხ-გოგორიანთა დიდს ეკლესიაში (სობოროში), სადაც მკითხველი ძალიან ნაკლებათ შედის.

ახალციხის მუზეუმი. ახალციხის ქალაქის ახალ ნაწილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოში განზრახულია მოწყობის ახალციხის მუზეუმი. თუ ეს მუზეუმი კარგად მოაწყვეს საქმით და ძვირფას ისტორიულ ნაშთებს შეიძინს. სხვათაშორის შარშან ახალციხეში გარდაიცვალა მოქ. ა. ბაიბურთელი, რომელიც თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში აგროვებდა ხოლმე ისტორიულ ნაშთებს, ძველს-ძველ ფუ-

ლებს და სხ. საგნებს, რომლებსაც ფულით იძენდა. ამ პირს ჰქონდა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე მოპოვებული ძველს ძველი ფულები.

მისი გარდაცვალების დღეს ადგილობრივმა მგონი კომპარტიამ დაიბეჭდა ეს ზემოთ აღნიშნული ძვირფასი ისტორიული ნაშთები და წაშლილი, ვის გადასაცა ე. ი. ახლა სად-მყოფება არ იცით.

ფოსტა. ვასულ წელს გაზეთ „ტრინუნაში“ წერილი მოვათავსე ახალციხის ფოსტის მოწყობის შესახებ ბორჯომ-ახალციხის, ახალციხე-ამასთუმანის ახალციხე-ახალქალაქის ფარგლებში ავტომობილი (ან ეტლით) და გადამზად-გადმოზიდვის შესახებ.

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის საოკლო სამართველოს მოუწყვია აღნიშნულ რაიონებში ფოსტის გადამზად-გადმოსაზიდავად ავტომობილი, რომელიც ფოსტის გარდა მოჰყავს კერძო მგზავრებს, შედარებით იაფ ფასებში სხვა ავტომობილებზე.

სამწუხაროთ ხანდახან ხშირად ივგინებენ ბორჯომიდან ავტომობილი ვინაიდან თურმე თუ საქმით მგზავრი არ აღმოჩნდა—იგი ადგილიდან არ იძვარის.

კვლავ შეტლებს თავისუფალი თარეში. როგორც შარშან, ისე ამ წელს გაზეთ „ტრინუნაში“ მოვათავსე ორი წერილი ახალციხის მეტრელების ფრიად მაღა გაღვიძებულ, თავისუფალ თარეშის და მშრომელი მასისს გაყვლეფის, ტყავის გაძრობის შესახებ. ეს მეტრელები მოქმედებენ ახალციხე-ბორჯომ-ამასთუმანის ფარგლებში და ეტლებს დასაჯდომ თითო ადგილის საფასურს სთხოვენ მგზავრებს იმდენს; რაც მათი გაღვიძებული მაღა უკარნახებთ.

მე მგონია, რომ როგორც ფოსტის გადამზად-გადმოზიდვის მიქცა ყურადღება, ისე მეტრელებსაც მიაქცევდნენ სთანალო ყურადღებას ვისგანაც

ჯერ არს, განიხილვოდა სათანალო ნიხრი მეტრელებს და მშრომელი მასსაც გადარჩებოდა უსაზღვრო გაყვლეფას, ტყავის გაძრობას მეტრელების მიერ.

სამხარე გლეხთა

სანუგეშო წიგნები.

გვიოქვამს და ვკლავს. ვამბობთ, რომ ცოდნას და მხოლოდ ცოდნას შეუძლიან ააღორძინოს ჩვენი მთავი მდგომარეობა და ცხოვრება, რომ მხოლოდ ცოდნას შეუძლიან შეიტანოს ჩვენს უფერო და მოსაწყენ ცხოვრებაში ლაზარით და შნო, ხალხის და შეუყენებელი ცდა ოჯახში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ გზაზე და კალაპოტში ჩაყენებისათვის.

დღე-მუდამ ერთი და იმავე საქმის მიღწევა უფიჭერეს ვასაც კი ვადააქცევს ყვერ ავტობიტად ისე რომ ეს არ მოხდეს, აუცილებლად საქობა ისე მოვაწყობთ და მივებართოდ ჩვენი ცხოვრება და მეტადარე ამის ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ მოზარდა აღზრდას ვუწოდებთ, რომ ყოველი ჩვენთაგანი, დიდი და პატარა და ქალი თუ კაცი, პატარობიდანვე ავარჯიშებდნენ თავიანთს კვავონებას და ცოდნას ყველა იმ ხელოვნებაში, რომელსაც კი წინ გვიყენებს გლეხი დღითღამ საქმედ და ცხოვრება ოჯახში და მის გარეშე—სოფლად თუ ქალაქად და მინდვრად თუ ქარხნებში და სახელოსნოებში. დიას, გაფაციკებით დაკვირვება ბუნება-ცხოვრებისა და გაფიქრებული, ასე ვსთქვათ ჩხირ-კრედილობა ამა თუ იმ საქმეში, აი რა დაგვაყენებს ჩვენ წინ-სვლისა და განვითარების გზაზედა.

დღეს მე კახეთში ვარ, მშენიერ კახეთში, რა არის ედემი თუ სამოთხე შედარებით მის. სიტუაციისთან-უსაზღვროდ დიდ ბუნებასთან, მის-მიწა-წყლისა თუ ყველაფრით შეზავებულ პავსთან, ერთი ნაფლევი თუნდა უფიჭერეს ხელოვნ-მატერისა და სხვა არაფერი?

სამწუხაროდ და მართლაც მხოლოდ ერთს ასეთს დღემალავთ არეულს და ავშაქნულს ნაფლეუს წარმოადგენს თვით კახეთის ხალხის შემოქმედება, დაწყებული სახლიდან და ქუჩიდან, რომლებიც ითვლება კაცობრიობის პირველყოფილ კულტურის დასაბამად და დაწყებად, აქ შეუდაფრამ ისე არაფერი და მიხვეულ-მოხვეული თუ მიმარტული, მკორე გამოიხატის გარდა, რომ აშკარად გიჭენებს ხალხს ამ შემოქმედების პრიმიტივობას, განუფიქრობლობას და მეტადრე იმ ნაკლს, რომ

ხიდი

ლია წერილი.

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის სახელოენო კომიტეტის მუსიკალურ ნაწილის გამგე ცნობილ მუსიკოსს სამშენილოტონ ბაღვაჩიძეს.

თქვენ როგორც ახლო მდგომი განათლების კომისარიატთან, მასთან ვულუმეტრკვივარი სახალხო სიმღერების, რომელსაც არა ერთხელ ვიწერიათ სახალხო მუსიკის მნიშვნელობის შესახებ.

დღესაც მეტად საჭიროა, ვადადგეყო იქნას მნიშვნელოვანი მომჭიდრი ნაბიჯი, მუსიკოსთა; ხალხურ მომღერლებთან და ლოტბარათა საერთო კონფერენცია საქართველოს მამტავით.

სახალხო სიმღერები—ხალხური ნაწარმოები თანდათანობით გვეფარება და მისი მცოდნე პირები, მებერი აღარ დაგვარჩენია. რაცა გვეყავს ისიც, ორი სასულედა არ გავვიტყოს, ამისათვის ერთად ერთი საშუალებაა კონფერენციის მოწყვეტა, სადაც ყოველი კუთხიდან, რჩებულნი მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას. გეწამდეს ეს ნაბიჯი, დიდი ნაყოფიერი იქნება, გამოიშვადება სამეშაო—სამოქმედო პროგრამა და სხვა და სხვა ჯერ კიდევ გამოსარკვევი საქმეები გამოირკვევა.

კონფერენციით გამოწვეული ხარჯები არც ისე აუტანელი იქნება.

კონფერენციაზე მონაწილენი გამართვენ კონცერტებს, რის შემთხვევაში დარწმუნებული ვარ და ფარავს მათზე გაწეულს ხარჯებს.

გთხოვთ თქვენი შეხედულება გაზეთის საშუალებით გვიცნობოთ.

მ. ფ. ბეგრი ცნობილი სახალხო ლოტბრები შემომიგვიან, დღეს ნამეტანი ვადაფლა ლოტბრობა, არავინ დაგიდევს შესაფერისი ცოდნა აქეთ თუ არა, ვის აბარებენ ამის ანგარიშებს. სიმღერებს კი ფრთხილად უნდა ვევიდებოდეთ.

მიხეილ კახაბის ქართული სახალხო სიმღერების ხელოვნ. კვლავინდებურად ვიხსენებ და იწარმოებებს ამ ნაშთის, მუშათა, სასახლეში (რუსთაველის პრ. 17) მე-ნათე ხართული ოთახში. პარახეობა საღ. მ. ნახევი, ს. სადაც შეუძლებლათ შედარებითანს. პირობებით ყველა მუშა-მოსამსახურეს, წითელ-არმიელს, მოწაფე-სტუდენტ მასწავლებელს შეიძინონ ქართულ სიმღერების ცოდნა.

სიმღერები ისწავლება სადაც, ადგილად და მართლაც, ზემო-გადმოცემით და ნოტებითაც. ჩაწერა ოთხშაბ-მარხკეობით საღ. ნახევი ს.

დროს ახლა მანც მოქცეს ყურადღება ამ ფრიად საჭიროობით რაც შეეს ვისგანაც ჯერ

ქართული სიმღერები

ჩვენში თითქოს არასოდეს ყოფილიყოს საერთო აზრისა და შემოქმედების ცდა.

განკვერტა ხალხის უფილი და აწყო შემოქმედების რაობა-ვითარებისა მეტად რთული, პირდაპირ სამეცნიერო საგანია, ამიტომ მე არც განვიგრძობ აქ მის გაღრმავებას. ვიტყვი მხოლოდ იმას, რა აზრითაც დავიწყვე ეს წერილი, რომ ასეთი თუ ისე, ჩვენს საზოგადოებაში ფენს იკიდებს ის აზრი, რომ ასე მამაპაპურად პრიმიტიულად ცხოვრება არ შეიძლება, ყველაფერს შეცვლა და შენაცვლება სჭირია, ხშირად, ძირ-ფესვიანათაც და ჩვენც, ამიტომ, უთუოდ ამ გზას უნდა დავადგეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ და გვინდა თუ არ გვინდა წინსვლის გზას დავადგეთ. და აი ამ წინსვლაში დიდს და შეუწაცვლებელს ამაგს დაგვდებს ჩვენ ხელოვნება და მისადმი აღლოს განვითარება...

გუშინ მე შეველი ერთი კახელის ბილნარში (ხეილთი ბაღში). სულ ოალეც ხახეგარ დღიურს წარმოადგენს იგი, ორმოცოდედ ხეხილით, მაგრამ, რა არის სამოთხე და ედემი იმასთან, რაც მე ამ ბაღში ვნახე: ისეა დატვირთული ყოველი ხეხილი ათასფერი ნაყოფით, რომ გვეგონება განგებ შეუყრიათ ზედაო! ასი, ორასი, სამასი და მეტი ფუთი, აი მოსავალი ამ ერთი მეურ ადგილსა! მაგრამ ვაი რომ ასეთი ცოდნა იშვიათი გამოიხატოს ჩვენს ცხოვრებაში, ზოგიერთების და არა საყოველთაო ამბავია... შეველი მეორის სამშენილოტონ მარშან ლეიქელი თითქმის მთლად დანგრეული იყო, წელს განახლებული. ვინ გააყეთა? გიორგიმ. გიორგი კი კალატოზი არ გვეგონათ; იგი ჩვეულებრივ მეთჯახეა და კალატოზის ქაფია რომ არა ჰქონია, უბრალო ვისთვის ნაჭრიდამ გაუფიქრებია იგი და ლეიქელი მისთვის აუშენებია. შეველი მეორეხანის სახლში. დიასახლსამა მანგენ ისე ხელოვნურად შეველილი „მატინკები“, რომ არაფრით ვაირჩიოდა ტფილისის მალაზიებში გამოყენილმისაგან. და მე რე ვესგან შეველილი? თვითონ დასასხლისისაგან... აი აქ, აქ არის ჩვენი ხსნა და ამიტომ ყოველი ჩვენი კერძო, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ძალეტიც უთუოდ ისე უნდა იყოს მომართული, რომ ცოდნა და მისადმი აღლო ვახდეს მთელი ხალხის დამახასიათებელ თვისებათ...

ივ. როსტომოშვილი.

იქვე არსებობს ძველი მომღერალთა გუნდიც 50 კაცისაგან შემდგარი.

სახალხო მომღერალთა გუნდი. რაოდენი-ჯერმე იყო აღორული პრესაში სახალხო მომღერალთა გუნდის მუდმივ პრესბორს, საკითხი.

საქმე იმაშია, რომ სახალხო გუნდის ძღვოს-რობობას არავინ ანგარიშს არ უწყებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად უწყის, რომ სახალხო მუსიკა (ორგინალური) სახალხო სიმღერა-ვალთა, სახალხო გუნდი არის უტყუარი საძირკველი ჩვენი მუსიკის განვითარებისა და პროგრესისა. ჩვენის აზრით ეს დიდი დანაშაულობაა მითი, ვისაც ევლენება ამ დიდა საქმის მოვარება, ერთფერო პატრონობის გაწევა და ყურადღება.

ყველა დავეთხანებება, რომ რთული მუსიკალური ნაწარმოები, ოპერები, სიმფონია და სხვა, როგორც ვერ აშენდება თუ არ სახალხო მუსიკა და სახალხო სიმღერები, რომლებიც მრავლად არის ხალხში გაბნეული.

ამათ უნდათ შეკრება, ვაკრელება ხალხში, მუშებში (კურსების საშუალებით), თორემ მერმედ გვიან იქნება, რადგანაც თუ იციან სახალხო სიმღერები ისევე ევლებება, რომელთაც საფლაგში ჩააქეთ თავიანთ ცოდნა და იმარტება ყოველდღისფერი.—უი-გო არ იქნებოდა ჩვენი სახალხო სიმღერები, სახალხო გუნდი თავიანთ ჩაცელობით (ჩაქურა, ქულაჯა, გლეხურა, ჩიხა, ხეგხურული) გვეჩვენებინა სხვა ერებისათვისაც კარგი შემთხვევა იქნებოდა ამ გვარი რაიგინალური, თავიანთური სახალხო გუნდი გავგვეზავნა რუსეთის ეხლანდელ გამოყენებულ—(მუსიკაში).—ესეც დიდი დანაშაულობა ჩავიდინეთ, მით უმეტეს, რომ 25, 30 კაცის გაგზავნა ისე ძვირი არ დაუდგომოდა; და საქმით კი რუსეთის ხალხი გავვიცნობდა მუსიკის დარგში.

შემდეგში იმელი ამ გვარ კარგ შემთხვევებს არ გამოვტოვებთ და ვისარგებლებთ—ახლა—კი საჭიროა ვისიც ჯერ არს მივაქციონ ყურადღება სახალხო მუსიკასა სახალხო გუნდის, სახალხო მომღერლებს—მოღვაწეებს და სხვათა, რათა ბეგრი მასალა მოეცეს ჩვენს მუსიკოსებსაც ოპერების შექმნის და ოპერის მომღერლების მომზადებისა და ჩვენი მოზარდ თაობის, ხალხის, მუშების სულიერად ამაღლებისათვის.

მისი ხოლოდელი.

რედატორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.